# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 271 შაბათი, 5 დეკემბერი 1909 წ. № 271

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


24 ნოემბერს ბუხარესტში (რუმინიაში) გარდაიცვალა ინგლისელი მწერალი ქალი

## მარჯორი უარდროპი,

რომელმაც გადასთარგმნა ინგლისურად ილია ჭავჭავაძის „განდეგილი" და გამოსცა რამდენიმე თხზულება საქართველოს შესახებ.

---

ელისაბედ ილარიონის ასული ქართველიშვილისა შვილებითა და რძლით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 დეკემბერს, პოლკოვნიკის

## გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე, ახლად შეკეთებულ ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 11 ნახევარ საათზე. (1—567—1)

---

კნ. სოფიო ალექსანდრეს ასული და თავ. ნესტორ, დავით, ანტონ და ვარდენ გრიგოლის ძენი წულუკიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველი—მეუღლის დანარჩენი—ძმის კაპიტანის

## თავ. სიმონ გრიგოლის ძის წულუკიძისას

გამოსვენება შაბათს, 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე. ორპირის ქუჩა, საკუთარი სახლი. დაკრძალვა სოფ. საწულუკიძოეში იმ დღესვე. (1—ფ.—1)

---

გულდამწვარი მშობლები ლისა და ალექსანდრე, ძმები გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმის წული საშურა საბახტარიშვილები გულმწუხარეთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, ტრაგიკულ გარდაცვალებას ძვირფას

## ილიუშა საბახტარიშვილისას.

პანაშვიდი დღეს, შუადღის 4 ნახევ. საათზე, მიხაილოვის საავადმყოფოში. იქიდან საღამოს რვა საათის მატარებლით ცხედარი წასვენებულ იქნება ქ. ფოთში.
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—565—1)

---

საიუბილეო **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა
(დირექცია ამო-ხარაზიანი)
კვირას, 6 დეკემბერს, 1909 წ.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებულ დასების მიერ **ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულად
**ორი ობოლი**
მე-5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.

2. სომხურად
**დაქცეული ოჯახი**
მე-2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

3. ქართულად
**ხ ა ნ უ მ ა**
1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.

4.
საკონცერტო
**განყოფილება**

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენსამე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.—დან 80 კ.—მდე.**
ამ წარმოდგენის შემოსავალი გ-დაეცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრის დირექციას ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე და დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ი. იმედაშვილ-ხამმელს.

რეჟისორი **ს. სვიმონიძე.** გამგე **თ. ნასიძე.**

---

◀ მიიღება ხელის მოწერა ▶
სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება"-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წელს 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველთვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის.

ხელის მომწერთათვის ჟურნალი წლიურად ღირება გაგზავნით 3 მანეთი, ნახევარი წლით 2 მან. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურად **ორ მანეთად** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და ჟურნალ „ნაკადულის" რედაქციაში. ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.** (5—1)

---

◀ კვირას, 6 დეკემბერს, ▶

## გაიხსნება

## „იუქანეს" ამხანაგობის საზამთრო ბაღი

**სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა შენობაში.**

სადილები: ორი თავი, ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—60 კაპ.
სამი თავი, ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი—80 კაპ.
ოთხი თავი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ადგილობრივი ლუდი—1 მან.

ბაღს აქვს მშვენივრად მოწყობილი საოჯახო კაბინეთები, **ბილიარდი.**

**იტალიური სიმებიანი ორკესტრი, დეფრაიას** ხელმძღვანელობით, დაუკრავს 1 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 9-დან ნაშუაღამევის 2 საათამდე.

— ვ ა მ ზ ა დ ე ბ თ შ ე კ ვ ე თ ი თ —

სადილებსა, ვახშმებსა, ქორწილებსა და სხვ. სამზარეულოს გამგეობა ჩაბარებული აქვს ცნობილ კულინარს ბ-ნ რომანს. (2—566—1)

---

წარმოდგენა № 20. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 20.
ა ბ ო ნ ი მ ე ნ ტ ი მე-8

შაბათს, 5 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა **პართენ გოთუასი**

## პარტიის კაცი?!

პიესა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, გ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი და ვ. ურუშაძე.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-დე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

✦✦ **ვისაც აბონემენტის ფული შემოტანილი არ აქვს, დღეიდან აბონემენტს ძალა აღარ ექნება.** ✦✦

მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ვ. ყიფიანისა „სამეგრელოს მთავარი ლევან" ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსი. „ნერონი", 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი", ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

## გლეხი-კაცის ისტორია

◀ **მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე** ▶

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი წ ი გ ნ ი ს ა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

◀ **ხელის მოწერა მიიღება შემდეგ ადგილებში:** ▶

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

---

კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი

## 1910 წ. საქართველოს მოამბე 1910 წ.

**მიიღება ხელის მოწერა.**

ერთის წლით 4 მან. 50 კაპ., უცხოეთში 6 მან.. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Головинскій просп. д. Манташева, номера „МУХРАНИ" Семену Кипіани. (6—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი სწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაცი. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვირ., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და ბავშვთ ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც. ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100 ნ.—55)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—222)

---

◀ გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში ▶

## მიიღება ხელის მოწერა

Bâton-ის წიგნზე:

## „ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიურის მხრით"

**დაახლოვებით 250—300** გვ. ✦ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი **60** კ. დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ხონში**—გიგლა მებუკესთან.

გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 791. (0—ნ.—122)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—69)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**
ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ჩუთხე). (100—ხალ.—77)

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**
იღებს ავადმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (25—ნ.—15)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**
არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. ძეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ხალ.—63)

**ექიმი** ქუთაისში **კ. თ. ტყეშელაშვილი**
იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—კვ.—118)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვიანის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—312)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**
გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—65)

ქ უ თ ა ი ს შ ი
კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. ბუჩკანის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—60)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირიჩნის ქ., № 9. (უ)

**ქუთაისი** მასაჟით სამკურნალო კაბინეტი **მ. ტ. ბალანჩივაძისა.**
ყვავილის აცრა, აგრეთვე სახის მასაჟი ორთქლის ვანებით. ვიღებ ავადმყოფებს დილ. 9 ს. ნაშ. 2 ს. ვაჟების ჯიმნაზიის პირდაპირ ჭილაძის სახლებში. (25—ნ.—14)

---

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ხალ.—74)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი
— წ ი გ ნ ი: —

## „ნატო გაბუნია"

30 წლ. სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად
**გამოცემა ქარ. დრ. საზ—სა**
**ფ ა ს ი 30 კ.**

ვინც ათზე მეტს იყიდის, ყანათზე 20% დაეთმობა. საწყობი დრამ. საზ. კანტორაში. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драмат. об—ва. (10—8)

---

## იყიდება

იაფად **სააგარაკო ადგილები,** თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ **თელოვანში** (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისოლოღოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში **ზაქარია გიორგის ძეს მაღლაშვილს.** (50—ნ.—48)

---

## მ ე ბ ა ღ ე

ვეძებ ადგილს. თანახმა ვარ, ქალაქს გარეთ წავიდე. შემიძლიან მამულის გამგეობა. ვიცი სასოფლო-მეურნეობა. ნახვა შეიძლება დილის 9—11 საათზე: აბას-აბადის მოედანი, 1 მოლინის ტუპიკი, **მიხეილ ფირალოვი.** (1—568—1)

---

**ზუბალაშვილის სახალხო სახლში**
კვირას, 6 დეკემბერს, ბ-ნი ა. ი. ხატისოვი
წაიკითხავს ლექციას
ანდრეევის უკანასკნელი პიესები:

## „ანფისა" და „ანათემა"

ლექცია დაიწყება შუადღის 12 საათზე. ადგილების ფასი 10—50 კაპ. (1—უ—1)

# ნარკვევი

(ფურცელ-გამოცდილი)

**(მომავლის მეპრესე)**

როდესაც ბ-ნ მაჩაბლის ცნობილი სიტყვა დაიბეჭდა „ზაკავკაზიე"-ში, მას მიაქცია ყურადღება „მომავლის" მეპრესემ და ამ სიტყვაში მხოლოდ ის არ მოიწონა, რომ ბ-ნი მაჩაბელი არწმუნებდა თავის აუდიტორიას, საქართველოს სათათბიროში თავისი წარმომადგენელი არა ჰყავს, რადგან ს.-დემოკრატ-დეპუტატები ქართველი ხალხის მისწრაფებათა გამომსახველად არ ჩაითვლებიანო. ამის წინააღმდეგ ორიოდე მკვახე სიტყვა უთხრა „მომავლის" მეპრესემ მაჩაბელს და ის გარემოება კი, რომ მაჩაბელმა დაამდაბლა და შეურაცხყო ილია ჭავჭავაძე მეპრესის ყურადღება თითქმის არ მიიწვია. და ამ გარემოების გამო მას არა უთქვამს-რა. არ განუმარტებია ის აზრი, თუ რაგვარად გამომდინარეობს მაჩაბლის სიტყვიდან ილია ჭავჭავაძის შეურაცხყოფა. ხამაგიეროდ, ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება „დროებამ". და ამ საგნის ორი მეთაურიც უძღვნა, ერთი მაჩაბელს, მეორე „ზაკავკაზიეს" თანამშრომელს, რომელმაც ერთი სიტყვითაც არ მოინდომა მაჩაბლის გაკიცხვა, არამედ მთელი თავისი გულისწყრომა მარკოვს შეალია და მით, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძეს გამოესარჩლა, მეორეს მხრივ კი მაჩაბელსაც არა აწყენინა-რა. ეხლა ჩვენ ვაძლევთ მკითხველს გამოცანას—როგორ გამოიყენა „მომავლის" მეპრესემ ყოველივე ეს ყველასათვის ნათელი და გასაგები გარემოება? დღე და ღამ რომ ფიქრს გაჰყვეს ვერას გამოიცნობს. ამიტომ ჩვენ მივეშველებით.

მეპრესემ აი რა მოიმოქმედა. არც აცივა, არც აცხელა და ყველა ჩვენი მოსაზრებანი ილია ჭავჭავაძის დამცირების შესახებ ბ-ნ მაჩაბლის მიერ მოიყვანა გუშინდელ „პრესაში" (82), ხოლო ისე კი მოიყვანა, რომ „დროება" არც კი ახსენა. და როდესაც მოაგონდა, რომ, ცოტა არ იყოს, უხერხულ რამეს სჩადის, საქმე ისე დააყენა, ვითომ „დროებამ" „მოქალაქობრივი გამბედაობა" (მეპრესის სიტყვებია) გამოიჩინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც „მომავალმა" აუწყა ქვეყანას, თუ რაგვარად შეურაცხყოფილი უნდა იყოს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ბ-ნ მაჩაბლის მიერ და მხოლოდ ამ გამოაშკარავების შემდეგ გაბედა და გაჰკიცხა „მომავლის" ... კი „მომავლის" ერთი სტატიათაც კი გაუხსენებია შეურაცხყოფის საკითხი და მან ახლად გუშინ გაიმეორა „დროების" მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ.

მაგრამ მკითხველი არ იცნობს, რომ საქმე აქ თავდებობაა. მეპრესემ „დროების" აზრებით ისარგებლა და „დროებისაც" ჩასწვდა... „მომავლის" მიერ ყოველივე განმარტებული და გარკვეული იყოო. და ამ „გამბედაობასაც" თუ ჩაუკვირდებით, დაინახავთ, რომ „დროება" თვალთმაქცობს და „არც მწვადსა სწვამს, არც შამფურსაო"... „საჯაროდ ბ. მაჩაბელს კონსერვატორი უწოდა და „ჩუმათ" კი პროგრესისტის მოწმობა მისცაო. აი აქა ყოფილა ძაღლის თავი დამარხული. ბ-ნი მაჩაბელი ისეთი დიდი ბობოლა რამა ყოფილა, რომ „დროებას" „ზაკავკაზიეს" მსგზავსად ვერც კი გაუბედნია მისი კრიტიკა. თითქოს ჰგმობს კიდეც, მაგრამ აქვე „ჩუმად" პროგრესისტობის მოწმობას აძლევს. მადლობა ღმერთს, რომ არსებობს საქართველოში გაზეთი „მომავალი" და მისი შეუპოვარი მეპრესე. ამ მეპრესემ გამოამჟღავნა „დროების" ორგულობა და ორპირობა და მით იხსნა ქვეყანა მაცდურობისაგან. ხოლო „დროების" ორპირობა და ლაჩრობა კი გამოსჭვრეტს შემდეგის სიტყვებიდამ, რომელიც ამ გაზეთის მეთაურში იყო დაბეჭდილი: „ბ-ნი მაჩაბელი, ჩვეულებრივი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ნამდვილი კონსერვატორია და მასთან იმგვარი, რომელსაც თავისი კონსერვატორობა პროგრესიულ და სასარგებლო მოვლენად მიაჩნიაო".

„ვისთვის" მიაჩნია კონსერვატორობა პროგრესიულ მოვლენად? ხალხისთვის. „ვის" მიაჩნია კონსერვატორობა პროგრესიულ მოვლენად? გაზეთ „დროებას". აკი ამიტომაც მისცა მან „ჩუმად" „პროგრესისტობის მოწმობა" მაჩაბელსაო.

ვინა სთქვა, რომ დაკნინდა ქართული მწერლობა და სულიერ დეგენერატობის კვალი დაემჩნია ქართველ მწერლების ნაწარმოებებს?..

* *
*

ამას წინად გაზ. „ზაკავკაზიე"-ში დაიბეჭდა ჩაპოვის წერილი, რომლის მთავარი ადგილები გავაცანით მკითხველებს. ჩვენ არ ვიცოდით, რამდენად სარწმუნო პირთან გვქონდა საქმე, მაგრამ, ჩვენი აზრი მაინც გამოვთქვით ბ-ნ სალათელიანისა და სომეხ მოხელის ნალაპარაკევზე.

ბაქოელ გაზეთ „ბაკუ"-ს მე-269 ნომერში ვინმე მაგისტრანტის ფელეტონია დაბეჭდილი. როგორც ეტყობა, ავტორს განზრახვა აქვს მთელი რიგი წერილებისა უძღვნას „სომეხთა საკითხს საქართველოში". ჯერ მხოლოდ პირველი წერილია დაბეჭდილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბაკუ" ადგილობრივ სომეხ ინტელიგენციის გაზეთია. მოვიყვანთ მთავარს და დამახასიათებელ ადგილებს:

ნ. ჩაპოვი ფსევდონიმია ახალგაზდა ნიჭიერ კავკასიელ რუს-პუბლიცისტისა. მან დაბეჭდა „ზაკავკაზიე"-ში ფელეტონი „სომხების ნალაპარაკევი"-დან და მოიყვანა სალათელიანისა და სხვა მეგობარ-სომხების აზრი კავკასიის სხვა და სხვა საჭირ-ბოროტო საკითხზე. მეფელეტონე აცნობს მკითხველთ დეპუტატ სალათელიანის აზრს, რომ საჭიროა გავარჩიოთ ნამდვილი სასომხეთი იმ სომხეთა კოლონიებისაგან, რომელნიც გაფანტულია სხვა ქვეყნებში, სასომხეთს გარედ. ამ კოლონიების სომხები უნდა გავარჩიოთ იმ სომხებისაგან, რომელნიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სცხოვრობენო.

ეს აზრი ღრმა ჭეშმარიტებაა და არა მარტო ჩვენ, სომხები, ვიყოფებით ორ ჯგუფად... ბერძენი კავკასიაში ასი-ათასამდე სცხოვრობს და დიდი შეცდომა იქნება საბერძნეთის ბერძნებზე ვიქონიოთ ისეთი წარმოდგენა, როგორიცა გვაქვს კავკასიელ ბერძნებზე, რომელთაც სამშობლო ენაც კი დაჰკარგეს და რომელნიც ირწმუნებიან, პელასგელ მოდგმის ხალხის მიდრეკილება ვაჭრობა და მთამადნის წარმოება იყოო.

რომ შევიგნოთ სომხების სინამდვილე, საჭიროა ვიცოდეთ, რომ სომეხთა ოთხი მეხუთედი ისტორიულ სამშობლოში სცხოვრობს და მხოლოდ ერთი-მეხუთედია სხვაგან. ამასთან სასომხეთის სომხობა ხასიათითაც, წარმოებითა და ხელობითაც განსხვავდება კოლონიების სომხებისაგან. რა არის საერთო ასტრახანისა და ზანგეზურის სომეხთა შორის, გორის მაზრისა და ახალქალაქის სომხებს შორის?

სომეხთა კოლონიები საქართველოში დიდი ხნის მოვლენაა. ჯერ კიდევ რუსების შემოსვლის წინად სომხებმა დაიწყეს თავ-შეფარების ძებნა საქართველოში და იპოვნეს კიდეც.. სომხების ერთი ნაწილი ფეოდალი მიწათ-მფლობელი შეიქმნა, ერთი ნაწილი უბრალო მიწის მომუშავე; დიდი უმრავლესობა კი ქალაქის მცხოვრები გახდა. არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბურჟუაზია სომხებისაგან შესდგა. გასაკვირველი ის არის, რომ ყველგან და მათ შორის იმერეთში, სამეგრელოში და გურიაში ბურჟუაზია ეროვნულია, ხოლო ქართლსა და კახეთში ეს ბურჟუაზია სომხებისაგან შესდგა. კლასობრივ ბრძოლას აღმოსავლეთ საქართველოში ეროვნული ელფერი ჰქონდა. ბევრი ამბობს, სულ ერთი არ არის განა, საქართველოში ვაჭარი სომეხი იქნება თუ ქართველი. საჭიროა, რომ ეკონომიური მიზნები კარგად შესრულდეს და ხომ ჭეშმარიტებაა, რომ სომეხი ვაჭარი თუ მრეწველი უკეთესია, ვიდრე ქართველი მრეწველი ან ვაჭარი. ქართველი ნაციონალისტები ამბობენ, ბურჟუაზიის სოციალურად გამართლება შეიძლება, თუ ერის კულტურულ საქმეებს ემსახურება, ჰქმნის მეცნიერებას და ხელოვნებას, პუბლიცისტიკას და სხვასაო. იმერელი ან მეგრელი ვაჭარი ყიდულობს ქართულ წიგნს. იწერს ქართულ გაზეთს, დადის ქართულ თეატრში, მონაწილეობას იღებს ეროვნულ საქველ-მოქმედო დაწესებულებებში. მისი შვილი უმაღლეს სწავლა-განათლებას მიიღებს, თითონ ან ლიტერატორი იქნება ან მარტო ქართველი ინტელიგენტი. სულ სხვაა, როდესაც ქართლისა და კახეთის ვაჭარი სომეხია. საქართველოში მოგებულ ფულს ის სწირავს... ოსმალეთის სომეხ-ობლებს და მიწის ძვრისაგან დაზარალებულ ახალქალაქელ სომხებს. შვილები ამ სომხებისა განათლებას რუსეთისა ან საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტში იღებენ და კავკასიაში დაბრუნების დროს სომეხი-ინტელიგენტები ხდებიან, რომელნიც ასომხებენ თავიანთ ძმებს, დებს, მამებს, რომელნიც შვილის გავლენის გამო კიდევაც დარცხვენილნი არიან, რომ სამშობლო ენა არ იციან...

ინტერესები ქართველობისა და სომხობისა საქართველოში ერთი მეორის მოპირდაპირეა. სომხის ინტელიგენცია მეტად გულწრფელად და ენერგიულად გაჰკიცხავს ეკონომიურ ბრძოლის არა ხასიათველ ზომებს, მაგრამ იგივე ინტელიგენცია ეცდება ქართველი სომხები იყოლიოს სომხობის გავლენის ქვეშ. ქართველი ინტელიგენციაც, რადგან სომხობის საქართველოს ტერიტორიიდან განდევნა შეუძლებელია, შეგნებულად თუ შეუგნებლად თავის მხრივ ეცდება ეს „ინოროდცები" გააქართველოს. აქ არავითარ კომპრომისს ადგილი არა არა აქვს. ამიტომ სომეხ-ქართველთა დამოკიდებულება კიდევ დიდხანს ასე უგულო და უგულწრფელო იქნება. საქართველოში სომეხთა საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ დროის განმავლობაში.

ეხლა, როდესაც მთავრობის პოლიტიკა კავკასიაში არა კონსტიტუციონურია, საქართველოში მცხოვრებ სომხებს შეუძლიანთ დაიცვან თავიანთი განმარტოებული მდგომარეობა, მაგრამ ერობის შემოღების შემდეგ სხვა იქნება. სასამართლოში და ადმინისტრაციაში ადგილობრივი ენები იქნება შემოღებული. სკოლაშიაც სწავლება ადგილობრივ ენაზე იქნება. კულტურული დაწესებულებანი პროვინციაშიც ფეხს მოიმაგრებენ—ერთის სიტყვით ერობის ცხოვრება განმტკიცდება და მაშინ სურათიც შეიცვლება. ეხლა გიმნაზიაში რუსი მასწავლებელი სცდილობს გაარუსოს სომეხიც და ქართველიც, მაგრამ სულ სხვა იქნება მაშინ, როდესაც საერობო სკოლაში სწავლება ქართულ ენაზე მოეწყობა, ქართველი მასწავლებელნი იქნებიან. მაში ბავშვის მთელი გარემო ერთი მისწრაფებით იქნება გაჟღენთილი. ხოლო ის სომეხი ბავშვი კი, რომლებმაც სკოლაში ვერ მიასწრეს გაქართველება, გაქართველდებიან საერობო ცხოვრებაში. ეს აუცილებელია. თუ ეხლა, როდესაც ადგილობრივი ცხოვრება ასეთ სიდუხჭირეშია, ქართველ დრამატურგებად მწერლებად, აქტიორებად, პოეტებად და პუბლიცისტებად ვხედავთ ქართველ სომხებს—რაღა იქნება ამ ორმოცდაათი წლის შემდეგ?

ტფილისის სომხობას არ შეუძლიან გაჰქრეს. ტფილისი მარტო საქართველოს დედა-ქალაქი ხომ არ არის, იგი მთელი კავკასიის დედა ქალაქია და მასთან იგი ახლოა სომხის პროვინციებთან. ორი საათის სავალი რკინის გზით და ჩვენ სომხეთში ვართ, მაგრამ გორი, თელავი, სიღნაღი, ველისციხე, ახალგორი, ცხინვალი, ჩხარი,—ყველა ამ ადგილების სომხები აუცილებლად გაქართველდებიან. ერთი თაობის შემდეგ ამ კოლონიების სომხობა გადიქცევა სომეხ-გრიგორიან ქართველებად. კიდევ ერთი თაობის შემდეგ—პირდაპირ ქართველებად.

სამშობლო ტერიტორიის გარეშე ეროვნებას არ შეუძლიან სიცოცხლე. ეს კარგად უნდა ახსოვდეს იმას, ვისაც სურს სომხების კულტურული თავისებურება დაიცვას. აი, რა უნდა ეთქვათ ჩაპოვის თანამოაზრე სომხებს,

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

4 დეკემბერი.

### საზღვარ-გარედ

**დუბლინი.** ირლანდიის ეროვნულ კავშირის გამგეობამ დაადგინა, არჩევნებში ლიბერალებს დაუჭირონ მხარი.

**ვენა.** სლავიანთა კავშირმა დაადგინა კვლავ განაგრძოს ობსტრუქცია. კავშირის აზრით რეიხსტაგმა არ უნდა განიხილოს არც ერთი კანონ-პროექტი, სანამ სამინისტროს რეორგანიზაცია არ მოხდება. ჩეხელმა—აგრარიებმა რეიხსტაგში აუარებელი სწრაფი შეკითხვა შეიტანეს. ჰფიქრობენ, რომ დეპუტატთა პალატის სხდომები შესწყდება.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ჩეხმა—აგრარიმ კოტლარჟმა თავის სწრაფ შეკითხვის დასასაბუთებლად რამდენიმე საათი ილაპარაკა. აზრად აქვთ პალატის სხდომა მთელი წლის განმავლობაში არ შესწყვიტონ. იმ პარტიების წევრებმა, რომლებიც ობსტრუქციის წინააღმდეგნი არიან, გადასწყვიტეს თავ-თავიანთ ... დეპუტატთა პალატაში რომ პალატას გამუდმებით ჰქონდეს სხდომები.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობამ არ შეიწყნარა სახელმწიფოების წინადადება, ჩინეთის და პორტუგალიის სადაო საკითხი მაკაოს საზღვრების გამორკვევის შესახებ სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოსო.

**ნიუ-იორკი.** ნიკარაგუაში ხალხი ღელავს. ყველაფერში ბრალსა სდებენ პრეზიდენტს. ხალხი თხოულობს, რომ შეერთებული შტატები ჩაერიონ საქმეში.

**ვენა.** საღამოთი, ქალაქის თვითმართველობის სახალხო სახლში კრება გამართეს რკინის გზის მოსამსახურეებმა. კრებას შემდეგ რკინის გზის მოსამსახურეებმა პარლამენტის წინ გაიარეს. ობსტრუქციის მომხრე პარტიებს ემუქრებოდნენ, ყვიროდნენ და სხვა და სხვა სიმღერებს მღეროდნენ. პოლიციასთან შეტაკება არ მოსვლიათ.

ნაშუადღევის პირველ საათზედ რეიხსტაგის გალერეიდან უცნობებმა ყვირილი დაიწყეს, ემუქრონენ ჩეხ-დეპუტატებს. ჩეხებმა მოითხოვეს გალერეიდან ხალხის გაყვანა. ამ დროს ლაპარაკობდა დეპუტატი კოტლარჟი, მან პროტესტი განაცხადა გალერეიზე მყოფ ხალხის ასეთ საქციელზედ და განაცხადა, სანამ გალერეიდან ხალხს არ გაიყვანენ არ ვილაპარაკებო. გალერეიდან ხალხი გაიყვანეს- კოტლარჟმა თავის სიტყვა ნაშუაღამევის ორ საათზე გაათავა. კოტლარჟმა განუწყვეტლივ ცამეტი საათს ილაპარაკა.

**პარიზი.** სამხედრო მინისტრმა სენატის სამხედრო კამისიას შეატყობინა: 1910 სლისთვის საფრანგეთს სამხედრო დირიჟაბლების საკმაო რიცხვი ეყოლება. ბლერიოს, ფარმანს და რაიტს წინადადება მივეკით, დამზადონ ჯარისთვის გამოსადეგი ჰაეროპლანებიო.

**რეიდსვილი.** (ჩრდილოეთ კაროლინას შტატი). სამხრეთ რკინის გზაზედ ლიანდაგიდან გადავარდა სამგზავრო მატარებელი. დაიმტვრა 4 ვაგონი, მოკვდა 10, მძიმედ დაშავდა 35 მგზავრი.

**ბუდაპეშტი.** კოშუტის პარტიის კონფერენციამ დაადგინა, რადგანაც დროებითი ბიუჯეტი დეპუტატთა

# მოტყუებული დედოფალი

**(ტაშკენტური ლეგენდა)**

ქვეყნის დაარსებიდან ბევრი რამ მომხდარა, ბევრი ქალაქი და სოფელი დანგრეულა, ბევრი ახალი აშენებულა და ბევრი თაობაც გამოცვლილა, მხოლოდ არ გამოცვლილა მშიერი უდაბნო. ის ისევ ისეთია, როგორიც იყო ათასის წლის წინად. თვალ გადუწვდენელი უდაბნო ისეა მოტიტვლებული, რომ ერთი ღერი ბალახიც კი არსადა სჩანს.

ერთ დროს კი ამ მოტიტვლებულს უდაბნოში იყო ადგილი, სადაც მოჩანჩქარებდა ანკარა მდინარე, ჰყვაოდნენ სხვა და სხვა ფერი ყვავილნი და ხეხილნი. ანკარა მდინარის წყლით გულს იგრილებდა ადამიანი, ყვავილთა სურნელებით სტკბებოდა და ხეხილთა ნაყოფით საზრდოობდა წლების განმავლობაში.

სწორედ ამ ადგილას, სამოთხო ხეხილ-ყვავილთა შორის, იდგა მშვენიერი ციხე-დარბაზი სარტების დედოფლისა.

დედოფლის სიმშვენიერე განთქმული იყო შორს ქვეყნებშიაც-კი. მისი თვალები ღამის სიბნელეში ანათებდნენ, მისს ღიმილთან მზის სხივები ჰკრთოდნენ, იკარგებოდნენ...

მშვენიერი დედოფალი სრულიად კმაყოფილი სცხოვრობდა თავისს სასახლეში.

ყოველ დღე მოდიოდნენ ძვირფასის აბრეშუმეულობით დატვირთული აქლემები, გამოგზავნილი სხვა და სხვა ქვეყნის მართველთა და მდიდარ სარტთა მიერ დედოფლის საჩუქრად.

უზარმაზარი სასახლე. სულ ძვირფასის ხალებით იყო დაფენილი, დოლაბებში ეწყო ძვირფასი ქვები, ოქროსა და ვერცხლის ნივთები—სამაჯურები, ბეჭდები და სხვა სამკაული დედოფლისა.

სხვა სარტის ქალებივით დედოფალი პირს არ იხურავდა, იგი ყოველთვის პირახდილი იყო. მისი სახე ყველას შეეძლო ენახა. მისი ალერსიანი მზერა ამშვიდებდა მწუხარე ადამიანის გულს და ნაღველს უფანტავდა. ამიტომაც, ვისაც კი ერთხელ თვალი მოეკრა მისთვის, აღარ ავიწყდებოდა მთელ თავის სიცოცხლეში.

ბავშვნი, მოხელენი ვაჟკაცნი და დედაკაცნი ყველანი ლოცავდნენ დედოფალს, ხოლო ერთხელ მნახველ ჭაბუკთ ღამე აღარ ეძინათ, მათს გულში სიყვარულის ცეცხლი ინთებოდა,

დედოფლის მახლობელნი სცდილობდნენ, რომ იგი კმაყოფილი ყოფილიყო და ამიტომ სასახლეში ყოველ დღე უკრავდა მუსიკა, იმართებოდა ცეკვა-თამაში.

სახლის ერთს მხარეს იყო მინის დარბაზი, სადაც იანვარშიაც კი ჰყვაოდნენ ყვავილნი და ხარობდნენ ხეხილნი. ზაფხულში ხომ სამოთხესა ჰგავდა იქაურობა: მშვენიერი სასახლე, მოჩანჩქარე მდინარე, ხეხილნი, ათას ფერად გადაშლილი ვარდ-ყვავილნი, რომელთა სურნელებითაც გაჟღენთილი იყო მთელი მიდამო სასახლისა და ჰაერი. ამიტომაც დედოფალი კმაყოფილი იყო ყოველისფრით: მას არ აწუხებდა არც ზამთრის სასტიკი სიცივე და არც ზაფხულის სიცხე.

სწორედ ახირებული სანახავი იყო ამ საუცხოვო, სამოთხის მაგვარ მიდამოს გარეშემო თვალ გადუწვდენელი მოტიტვლებული სივრცე,—მწირი, უნაყოფო, ყოვლად უვარგისი. არ იყო არსად არც ხეხილი, არც მცოდნე ხალხი, არც ერთი ბუჩქი.

ერთხელ დედოფალმა სასახლის ერთ კუთხეში შემთხვევით აღმოაჩინა ერთი კარები, მაგრა დაკეტილი.

— ეს რა კარებია?—ჰკითხა მახლობელთ.

— არ ვიცით, დედოფალო!—იყო პასუხად.

მთელს სასახლეში არავინ იცოდა ამ საიდუმლო კარების ამბავი, დღემდე არავის შეემჩნია მისი არსებობა.

დედოფლის ბრძანებით კარი გააღეს. ამ კარებიდან კარგა ფართო კიბე ადიოდა სასახლის მინარეთზე.

დედოფალმა მოისურვა მინარეთზე ასვლა და გაოცებული დარჩა, როდესაც დაინახა სასახლის გარეშემო ასეთი მოტიტვლებული უდაბნო. მას, როგორც ნაზად აღზრდილს სასახლეში, ჯერ არ ენახა ეს უდაბნო და დღეს პირველად ჰხედავდა.

— რით არის ასეთი განსხვავება მიწაში?—ჰფიქრობდა დედოფალი:—ღმერთს ხომ არ დაუწყევლია ეს უდაბნო?

მთელი ღამე არა სძინებია ფიქრით შეპყრობილ დედოფალს, ხოლო დილით მიჰმართა სასახლეში მყოფ ბრძენთ:

— რათ არის ასე, რომ სასახლის ახლოს ყველაფერია—ბალახიც, ყვავილიც, ხეხილიც და გარეშემო კი არსად არაფერია, ერთი ბუჩქიც კი არსადა სჩანს?

— მიწა ყველგან ერთია,—მიუგეს ბრძენთ,—მხოლოდ საქმე იმაშია, რომ სასახლის ახლო მოჩანჩქარებს მაცოცხლებელი მდინარე, რომლის წყალობითაც ხარობს მთელი მიდამო სასახლისა, გარეშემო კი არსად არის წყალი.

— უნდა გაზიარდეს ეს მდინარე!—წამოიძახა დედოფალმა:—გაიყვანეთ აქედან არხები მთელს უდაბნოზე, რომ იხაროს მიწამ და ამწვანდეს ყველგან!

— დედოფალო, — ჩაიცინეს ბრძენთ,—ამ უსაზღვრო სივრცეს განა ეყოფა ეს პატარა მდინარე, რომლის ერთი ნაპირიდან მეორეზე თავისუფლად გადააბიჯებს კაცი? ჩვენ გავიყვანთ არხებს შენის ბრძანებით, მაგრამ როგორ მოვა: ეს პატარა მდინარე ისე დაიკარგება ამ სივრცეში, როგორც ცვარი ზღვაში. ვერც ამ უდაბნოს გაახარებს და ეს მშვენიერი მიდამოც სასახლის გარშემო გახმება, დაიღუპება უწყლოდ.

— ბრძენნო!—მიჰმართა დედოფალმა:—აი თქვენ დარწმუნებულნი ხართ, რომ დედა-მიწაზე ყველგან ერთია და ყველგან რომ ისე მოირწყოს, როგორც აქ ირწყვის, მთელი ჩვენი მხარე აჰყვავდება და სამოთხედ იქცევა ეს მოტიტვლებული უდაბნო?

— ამას ეჭვი არა აქვს, განაცხადა ერთმა ბრძენთაგანმა:—ოჰ, დედოფალო! აქ რომ რამენაირად გაჩნდეს წყალი, მაშინ შენს საბრძანებელში არ იქნებოდა არც ერთი გლახაკი, აღარავინ გაიგებდა ოხვრა-კვნესას დამშეულ ხალხისას, მთელი სამეფო მართლა სამოთხედ იქცეოდა!

დედოფალი ღრმად დაფიქრდა ამ სიტყვებზე. მისი ყოველთვის მხიარული სახე გამოიცვალა, დანაღვლიანდა. წავიდა დასაძინებლად, მაგრამ მთელ ღამეს არა სძინებია, ფიქრით იყო გატაცებული. ამ დღიდან იგი შეიქნა დაფიქრებული. ვეღარაფერი ვერ ამხიარულებდა: ვერც მუსიკა, ვერც ცეკვა-თამაში და ვერც სიმღერა. ხშირად ადიოდა სასახლის მინარეთზე, საიდანაც თვალ-წინ იშლებოდა უსაზღვრო სივრცე; ამ სივრცეზე მოსჩანდნენ გლახაკთა გუნდი, მშიერნი, დაგლეჯილ-დაფხრეწილნი. ყველა ამის ნახვით დედოფალს გული უკვნესდა და მხოლოდ იმას ღა ჰფიქრობდა, რომ ეს მშიერი უდაბნო როგორმე გაანაყოფიეროს და გაახაროს ეს უბედური გლახაკნი.

დედოფლის ახლობელთ უკვირდათ, რომ ასე დაღონებულ-დაფიქრებულს ჰხედავდნენ და უკვირდათ—რათ ადის მალმალე სასახლის მინარეთზე.

— რას გასცქერის დედოფალი ამ მშიერს უდაბნოს და ან რა მოსწონს მასში?—თავისთვის ბჭობდნენ ბრძენნი:—სასახლის ბაღში ათასგვარი ვარდ-ყვავილნი ატკბობს თავის სურნელებით ადამიანის სულსა და გულს და ის კი დილიდან საღამომდე ერთავად მოტიტვლებულ უდაბნოს გასცქერის!..

— დედოფალი მოწყენილია, წინანდელი გასართობნი ვეღარ ამხიარულებენ... ყველას თავისი დრო აქვს... მისთვის ახლა ქმარია საჭირო სხვა არაფერი; მხოლოდ ქმარი გაამხიარულებს... გავგზავნოთ კაცები სხვა და სხვა ქვეყნის მმართველ—ხელმწიფეებთან და მოვიწვიოთ სასახლეში, რომ დედოფლობა რომელიმე მათგანი ამოირჩიოს საქმროდ...

ასე გადასწყვიტეს ბრძენთ და დედოფალსაც გაუზიარეს თავიანთი გარდაწყვეტილება. უკანასკნელიც დასთანხმდა მათს აზრს, და აფრინეს ყოველ მხარეს კაცები.

მცირე ხნის განმავლობაში მოიყარეს თავი მოწვეულ სტუმართ და სასახლეში წარუდგნენ დედოფალს. სამი დღე და ღამე ლხინობდნენ—სვამდნენ, სჭამდნენ, მღეროდნენ და ცეკვაობდნენ. ყველა სცდილობდა, რომ თავი როგორმე ესახელებინა დედოფლის წინაშე, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურადღებას არავის აქცევდა და ამ მხიარულებაში ერთხელაც არ გაუღიმია.

სამი დღის შემდეგ ყველანი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ საბრძანებელში და გულის ფანცქალით ელოდებოდნენ დედოფლის პასუხს.

— დედოფალო! მიმართეს ბრძენთ —რას იტყვი, ამოირჩიე თუ არა

პალატაში სამსახურიდან გასულმა სამინისტრომ შეიტანა, ამიტომ პალატა ბიუჯეტს ვერ განიხილავსო. კონფერენციის აზრით, დეპუტატთა პალატამ უნდა მიმართოს იმპერატორს ადრესით და სთხოვოს, რომ სამინისტრო პარლამენტის უმრავლესობისგან იქმნეს დანიშნული. იმ შემთხვევაში თუ სამსახურიდან გასული სამინისტრო ახალ წლის შემდეგაც დარჩება, მას შეუძლიან მხოლოდ უსაჭიროეს საქმისთვის დახარჯოს ფული და ისიც შარშანდელ ბიუჯეტის ფარგლებში. დღევანდელ თათბირის დროს კოშუტის პარტია შეიმუშავებს სიას იმ საქმებისას, რომელიც სამინისტროს შეუძლიან ფულის დახარჯვა და განაცხადებს, სამსახურიდან გასულ სამინისტროს უფლება არა აქვს ავსტრიას გადასცეს საიმპერიო ხარჯების ის ნაწილი, რომელიც ჰუნგრეთმა უნდა გადაიხადოსო.

**ბერნი.** მოკავშირეთა საბჭოს თავჯდომარედ აირჩიეს კომტესი, მის ამხანაგად რიუშე, კანცლერად შაცმ-ნი. სამთავენი რადიკალები არიან.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა ჩეხ-აგრარიების მეორე სწრაფ შეკითხვის დასასაბუთებლად ილაპარაკა დეპუტატმა შპაჩეკმა. შპაჩეკმა თავის სიტყვა დაიწყო დილის 7 საათზე და გაათავა შუადღის 12 საათზე. ობსტრუქციის მოწინააღმდეგე პარტიებმა პროტესტი განაცხადეს ობსტრუქციის წინააღმდეგ. შემდეგ ლაპარაკი დაიწყო ჩეხმა-რადიკალმა ლიზიმ. საღამოს $6^1/_2$ საათზედ გალერეიდან პროტესტი განუცხადეს ობსტრუქციის მომხრეებს. გალერეიდან ხალხი გაიყვანეს.

## ო ს მ ა ლ ე თ ი

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. წაიკითხეს სპარსეთის მეჯლისის დეპეშა. მეჯლისის დეპეშაში სალამს უძლვნის ოსმალეთის პარლამენტს. დეპუტატთა პალატამ დაადგინა, მიანდოს პარლამენტის თავმჯდომარეს პასუხი გასცეს მეჯლისსა. პალატამ არ შეიწყნარა რამდენიმე დეპუტატის წინადადება, დავაჯილდოვოთ გენერალისიმუსი მაჰმედ-შეფკეთ-ფაშა, რადგან მან ოსმალეთს დიდი ღვაწლი დასდოვო.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რუსეთის ელჩმა შაჰს წარუდგინა სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის ახალი უფროსი ვადბოლსკი.

## რ უ ს ე თ ი

**ნოვოჩერკასკი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა ინჟენერების ლევიცკის, ლაკშინის, შტეიგერის, ივანოვის, ბაკიტკოს, ვანგის და რიკოვის მაღაროების დირექტორის დიურანის სააპელაციო საჩივარი. 1908 წელს—რიკოვის მაღაროებში აფეთქება მოხდა. დაიღუპა 271 მუშა. ამის გამო ზემოდ დასახელებული პირები სამართალში მისცეს. ოლქის სასამართლომ მათ სხვა და სხვა ვადით დაატუსაღება გადაუწყვიტა. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი მაღაროების დირექტორ დიუხანის შესახებ—ოთხი თვით სატუსაღო, მხოლოდ ინჟენრებს ლევიცკის, ლაკშინს, შტეიგერს, ივანოვს, ბაკიტკოს და ვინგას სასჯელი მოუმატა. პალატამ თითო მათგანს ოთხ-ოთხი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ურალსკი.** ურალის ოლქში, ურალსკიდან 140 ვერსის მანძილზედ შავი ჭირი გაჩნდა. უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში გარდაიცვალა 23 კაცი.

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია აკადემიკ სობოლევსკის საქმე. გაზეთ „პეტერბ. ვედომოსტებში" დაიბეჭდა სობოლევსკის წერილი უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს აფარებს უნივერსიტეტის კასის მამასახლისის საბჭოს, რომლის წევრებმაც ფული გაფლანგესო. სობოლევსკის უჩივლა უნივერსიტეტის საბჭო. სასამართლომ სობოლევსკის 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**მოსკოვი.** დამცველ პოლიციის აგენტებმა ბასკაკოვის სახლში ამოაჩინა სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციის სხდომა. დააპატიმრეს 15 კაცი და 16 ქალი, უმთავრესად მოსწავლეები. იპოვეს მიწერ-მოწერა და არა-ლეგალური ლიტერატურა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს მცირე კომისიამ დაადგინა მომავალ უწოდებრივო სოფლის სამმართველოების სასარგებლოდ გადასახადი დაადოს სამონასტრო და საეკლესიო მამულებს, გარდა იმ მამულებისა, რომლებიც შემოსავალს არ იძლევიან.

მთავარმა სამხედრო სასამართლომ არ შეიწყანა 11 კაცის საკასაციო საჩივარი, მათ შორის სტუდენტად ნამყოფ ნეიმანისა. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამხედრო ორგანიზაციის წევრობა და კუთკალის ახლო ყუმბარების ქარხნის მოწყობა, რისთვისაც სამხედრო სასამართლომ სხვა და სხვა ვადით კატორგა მიუსაჯა.

**ვარშავა.** სამოსამართლო პალატამ კსენდზ გაიკოვსკის სამი კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა. გაიკოვსკიმ გამოუშვა ბროშიურა, რომელშიაც ადმინისტრაციამ რუსეთის მთავრობის და მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა დაინახა.

## ხ ო ლ ე რ ა

**კრემენჩუგი.** მაზრაში ავად ადარავინ გამხდარა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ავად აღარავინ გამხდარა. ავად არის 30 კაცი.

**მოსკოვი.** ორი დღე-ღამის განმავლობაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 11, ავად არის 59 კაცი.

# მისაბაძი მაგალითი

ძალიან ბევრი იწერება იმის შესახებ, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვთ სოფლის მეურნეობაში ამხანაგობებს, კოოპერაციებს. სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენცია საქმეს ხელს არა ჰკიდებს და პრაქტიკულად არ მეცადინეობს. რასაკვირველია, ერთბაშად ვერ მოეფინება საქართველოს კოოპერატიული ამხანაგობები, მაგრამ ერთი-ორი სამაგალითო ამხანაგობა რომ დაარსდეს, დიდ სამსახურს გასწევს პროპაგანდის მხრივ. ერთი სამაგალითო სოფლის სამეურნეო ამხანაგობა რომ გვქონდეს, ამ მაგალითით ბევრი ისარგებლებდა. ამხანაგობის სარგებლობა თვალსაჩინო ხდება დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მაგრამ ერთი წლის არსებობაც ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩინოსა ჰხდის ამ სარგებლობას.

სამაგალითოდ დაყენებული ამხანაგობები არსებობენ გერმანელთა ახალშენებებში და ურიგო არ იქნება ჩვენ წავბაძოთ მათ. მე გაგაცნობთ ახალშენ ჰელენენდორფის*) საქმეებს (განჯის გუბერნიაში, განჯიდან ექვს ვერსზე).

ამ ახალშენში არსებობს ორი ამხანაგობა. ერთს სახელად ჰქვიან სოფლის სამეურნეო ამხანაგობა „დახმარება", მეორეს „კონკორდია". ამ ორ ამხანაგობის შორის დიდი განსხვავებაა. პირველი ამხანაგობა („დახმარება") ეკუთვნის ეგრედ წოდებულ მომხმარებელ ამხანაგობათა ტიპს. ამ ამხანაგობის აზრია, მცხოვრებთ იაფად მიჰყიდოს ყველა საჭირო საგანი და საქონელი: ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საჭმელი, ხორცი და სხვ. „კონკორდიის" დანიშნულება ის არის, რომ სოფლის ნაწარმოები კარგ ფასად გაჰყიდოს. ეს გამსაღებელი ამხანაგობაა.

*) ახალშენში სცხოვრობს 300 კომლამდე, 2000 სული.

„დახმარებას" ორასზე მეტი წევრი ჰყავს. საწევრო გადასახადი ოლდახუთი მანეთია, ამ ფულის გადახდა წვრილ-წვრილადაც შეიძლება. წმინდა შემოსავლის 60 პროც. ურიგდებათ წევრებს, 10 პროც. ამხანაგობის მოსამსახურეებს, 10 პროც. ეძლევა სკოლას (ცენტრალურ სკოლას), დანარჩენი ხმარდება საქმის გაფართოვებას. ამ ამხანაგობას აქვს ორი დუქანი. ერთში იყიდება ყველა საჭირო საქონელი: ფართლეული, ნავთი, ფეხსაცმელი, საპონი კალბასი და სხვა. მეორე კი საყასბოა. ამხანაგობას საკლავი საქონელი ჰყავს, ჰკლავს ამ საქონელს და ჰყიდის. თუ სხვაგან გირვანქა ხორცი ორი შაურია საამხანაგო საყასბოში ცხრა კაპეიკად იყიდება.

„კონკორდია" დაარსდა ამ ერთი წლის წინად. წევრი ჯერ ცოტა ჰყავს—სამოცამდე, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ აქ საწევრო გადასახადი დიდია: წევრმა დესეტინა ვენახზე საწევრო გადასახადი უნდა შეიტანოს ოცი თუმანი, მაგრამ ეხლა აპირობენ, საწევრო გადასახადს დაუკლონ და ამხანაგობასაც უფრო დემოკრატიული ხასიათი მისცენ. რადგან ჰელენენდორფში უმთავრესად მევენახეობას მისდევენ, ამისთვის „კონკორდია"-ს აზრია, რაც შეიძლება კარგ პირობებში გაჰყიდოს ღვინო და გააუმჯობესოს ღვინის დაყენების და ვენახის მოვლის საქმე. „კონკორდია"-ს აქვს საკუთარი სარდაფი (ამ სარდაფის მოწყობას მოუნდა მთელი საწევრო გადასახადი ყოველ წევრს შეუძლიან გასვლისათანავე მიიღოს უკანვე მის მიერ შეტანილი საწევრო ფული). ეს სარდაფი იმოდენაა, რომ „კონკორდიის" წევრებს აღარ დასჭირდებათ თავიანთი სარდაფები (მარნები) და ყველა წევრი თავის ღვინოს ამ საზოგადო სარდაფში დასწურავს.

„კონკორდია"-ს ჰყავს დაქირავებული მეღვინე, რომელიც ღვინოს აზავებს მომხმარებელის გემოვნებაზე: აკეთებს ტკბილ ღვინოს, შამპანიურს და სხვას. ღვინოს წევრებისაგან იღებენ გრადუსობით, მაგრამ რადგან სიმაგრის გარდა ღვინოს სხვა თვისებებიცა აქვს, მაგ. სურნელება (არომატი), ფერი, გემო და სხვა, ამისთვის სხვა და სხვა ჯიშის ღვინოზე გრადუსის ფასი სხვა და სხვაა: ღვინო დაყოფილია სამ ჯურად. პირველი ჯურის ღვინოს წელს ამხანაგობა იღებს გრადუსს 8 კაპ., მეორე ჯურისას—$7^1/_2$ კაპ. და მესამე ჯურისას—7 კაპ. რომ ღვინის მიმღები კომისია მიუდგომელი იყოს, ამისათვის ის ბოთლი, რომლითაც ჰაშნიკი მიაქვთ და რომელზედაც აწერია პატრონის გვარი, შეხვეულია ქაღალდში, ისე რომ კომისიის წევრებს არ შეუძლიანთ იცოდნენ ვის ეკუთვნის ღვინო, და ისე მსჯელობენ, თუ რომელ ჯიშს ეკუთვნის ეს ღვინო—პირველს, მეორეს, თუ მესამეს. ამ ამხანაგობას შარშან გაუყიდნია 40 ათასი ვედრა ღვინო თავის დალალების (ვოიაჟორების საშუალებით. წელს მეტის გაყიდვის იმედი აქვთ.

ეს ამხანაგობა შარშანვე შეუდგა ღვინისაგან კონიაკის გამოხდას. კონიაკის გამოხდა ადვილად შეიძლება კახეთშიაც მოეწყოს. მთელ კახეთში არსად არ არის კანიაკის სახდელი ქარხანა. შარშან ძალიან კარგი მოსავალი იყო, ღვინო კი წყლის ფასად იყიდებოდა. ღვინოს რომ ფასში აეწია, უნდა ზედმეტი ღვინო დაჰკლებოდა. ღვინისაგან რომ კანიაკი გამოეხადნათ კახელებს, ღვინო მოიკლებდა და ღვინის ფასი მოიმატებდა. კანიაკი კი ვედრა 15—20 მანეთადა ღირს და მუდამ კარგი გასავალი აქვს. კანიაკის გამოხდა ძალიან ძვირფას მანქანებს არა თხოულობს და სამეურნეო ამხანაგობისთვის ხელმისაწვდენია. კანიაკს თითქმის ისევე ხდიან, როგორც არაყს. კანიაკისთვის კარგი ღვინო საჭირო არ არის, ცუდი ღვინო, გადაბრუნებული ღვინო,—აი როგორი ღვინისაგან ხდიან კანიაკს.

ამხანაგობა „კონკორდია" ხდის აგრეთვე არაყს წევრთა ჭაჭისაგან.

თუმცა „კონკორდიის" წევრებმა დესეტინაზე ოცი თუმანი გადაიხადეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მიიღეს მშვენიერი სარდაფი, და განა იმათ რომ ცალცალკე სარდაფი აეშენებინათ თავიანთ ღვინისთვის, ოც თუმანზე ნაკლები დაუჯდებოდათ? „კონკორდიის" აზრადა აქვს რამდენიმე სამუდამო სტიპენდია დაარსოს და ახალშენის რამდენიმე ახალგაზდა გაჰგზავნოს გერმანიაში სოფლის მეურნეობის შესასწავლად იმ პირობით კი, რომ სწავლის მიღების შემდეგ ეს ახალგაზრდანი ემსახურნონ რამდენსამე ხანს (ექვს წლამდის) თავიანთ სამშობლო სოფელს. ასე კარგადა აქვთ ამ სოფელში მოწყობილი ყველაფერი.

დასასრულ, არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებლებისთვის საჭიროა გაიმართოს ამ ზაფხულს კოოპერატიულ ამხანაგობათა შესასწავლი კურსები. გერმანელთა ახალშენებში ამხანაგობებს სათავეში უდგანან სოფლის მასწავლებლები. ბევრმა მათგანმა დაანება მასწავლებლობას თავი და ამხანაგობათა დაწესებულებებში გადავიდა. თუ მასწავლებელი ჯამაგირს სამ ან ოთხ თუმანს იღებს, ამხანაგობაში რვა-თერთმეტ თუმნამდის იღებს თვეში. რასაკვირველია, ვინც ამხანაგობაში გადადის, უნდა შეისწავლოს საკომერციო საქმე, თუნდა მაგ. ბუხჰალტერია. კარგი იქნება, რომ კურსისტებმა, თუ როგორმე მოხერხდა, დაიარონ გერმანელთა ახალშენები და გაიცნონ მათი ამხანაგობანი. ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა ავყავება შეუძლიან მხოლოდ ამხანაგობებს, კოოპერაციას და სწავლა-განათლებას. თუ გერმანელებში ასე მკვიდრად მოიკიდა ფეხი ამხანაგობამ, მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველი გერმანელი წერა-კითხვის მცოდნეა.

**გიორგი.**

# სოფლად

II *)

**სკოლები.**

წავედი ყორნისის სამრევლო სკოლის დასათვალიერებლადაც. ციოდა საგრძნობლად. თოვლ-ჭყაპში მომიხდა სიარული, სოფ. ყორნისი მდებარეობს ტილიანას ხევაზე, რომელიც ერთვის მდ. ფრონეს (დვანის წყალი) სოფ. წორბისთან. სოფელში 118 კომლი ითვლება, ხიზანი-ოსნი. თავ. ხერხეულიძეების მამულზე მოსახლეობენ.

სკოლას საკუთარი შენობა აქვს, სოფლის მიერ აგებული. სამი ოთახისაგან შესდგება, ხის შენობა—გადკეჩილი და გალესილი, კირით გათეთრებული. საკლასო ოთახი დიდია, სამი განყოფილებისაგან შესდგება. 24 სტოლი უჭირავთ მოსწავლეებს. საკლასო დაფა დიდი და შნოიანი, საანგარიშო ორია, მასწავლებლისთვის სტოლი, შკაფი წიგნებისთვის. კედლებზე სურათია გაკრული. ერთ ადგილას გაკრულია სია მოსწავლეებისა და გაკვეთილების რიგი რუსულ ენაზე. 55 მოსწავლეა. ამათში სამი დიაკვნისა და მასწავლებლის ქალია ოთხიც ოსის გლეხის ქალია, ერთი ქართველი კიდევ დვანიდან ურევია.

დანარჩენი ორი ოთახი მასწავლებლის ოჯახს უჭირავს.

სკოლა არსებობს 38 წელიწადი. სკოლის გამგედ არის მღვდ. ალექსანდრე ქოქოშვილი [illegible] წადი შეუწყვეტლივ, რაც იგი ამ სკოლის [illegible] სჯულსაც. მასწავლებლად არის ვანო სანაყოშვილი მან გორის სემინარია გაათავა და კარგა ხანია მასწავლებლობს ამ სკოლაში.

მასწავლებელს ჯამაგირად ეძლევა 400 მან. მღვდელს ალ. ქოქოშვილს—60 მან. ყორნისის საზოგადოება აძლევს ამ სკოლას თითო კომლი თითო აბაზს, ესე იგი 134 მ.

სწავლა რუსულ ენაზე სწარმოებს ოსურ ენის შემწეობით.

როდესაც საკლასო ოთახში შევედი, სამღთო სჯულის გაკვეთილი ჰქონდათ. ერთი მოსწავლე ათმცნებას ამბობდა ოსურად, მეორე რუსულად სთარგმნიდა. ამათ რომ გაათავეს, ერთმა მოსწავლემ რუსულ ენაზე მკაფიოდ სთქვა ძველის აღთქმიდან ეგვიპტელების გასვლის ამბავი მეწამულ ზღვაში. რასაკვირველია ოსურ კილოზე უქცევდა.

მღვდ. ალექსანდრე ქოქოშვილს და ვანო სანაყოშვილს ოსების მხრივ დიდი მადლობა ეთქმით, სკოლა რიგიანად აქვთ დაყენებული.

უნდა ვთქვათ, რომ ქართულს აქეთ გაურბიან. ვისაც უსწავლია ამ სკოლაში, გვარს „овъ"-ზე აბოლოვებს, ესე იგი, ცხოვრებაშვილის მაგიერ ცხოვრებოვს ირქმევს, ხარებაშვილის მაგიერ ხარებოვს, სანაყოშვილის მაგიერ სანაკოევს და სხვ. არც გასაკვირველია: ჩვენ, ქართველებს, ის მნიშვნელობა აღარა გვაქვს მათვის, რაც გვქონდა. გვარები რომ ჩვენ თითონაც შევიცვალეთ.

გამოთხოვების დროს მღვდ. ქოქოშვილმა მითხრა: უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ხაზინამ ამ სკოლას დაუთმო სოფ. შეყმარაში სახაზინო მამულში ათი დესეტინა ადგილი. სკოლა უნდა გადაგვეტანა, მაგრამ სოფ. ყორნისმა დიდად იუარა და ჯერ-ჯერობით საქმე გაჩერებულია.

* * *

აქედან გავეშურე სოფ. ავნევში. იქაც სამრევლო სკოლა არსებობს. შიგ სოფელში გზის პირას სკოლას საკუთარი შენობა უდგია შესდგება ორი ოთახისაგან. წინ გზისკენ აივანიც აქვს. ერთ ოთახში კლასია მოთავსებული, მეორეში—მასწავლებელი. ესეც ხის შენობაა, გალესილ და კირ წასმული. ეს სკოლა დაარსებულა 1902 წ., მღვდ. დავითაშვილის დროს. გამგედ მღვდ. მექანაშვილია. 2 წელიწადია მასწავლებლობს ყიფშიძე. ჯამაგირი ეძლევა—240 მან. სოფ. ავნევი და ნული (სულ 122 კომლია) აძლევს თითო კომლი თითო მანეთს.

რუსული ენის გაკვეთილს მიუსწარი, 22 მოსწავლე დავთვალე, ქალი—10 და ვაჟი—12. საკლასო სტოლები კიდევ ცარიელი იყო, მასწავლებელმა მითხრა, დღეს ზოგნი არ მოვიდნენ, 30 მოსწავლე მყავსო.

მოსწავლენი ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი. აქაურები სწავლას გაურბიან, მშობლები თავიანთ შვილებს ვერ ელევიან, საქონელში ატარებენ, თანაც საყვედურს აცხადებენ, რისთვის უნდა გადავიხადოთ თითო მანეთიო. მოსწავლენი ანაბანას რომ ისწავლიან, თავს ანებებენ სკოლას და, რაც უსწავლიათ, ისიც ავიწყდებათ სწავლა რომ რიგიანად ყოფილიყო დაყენებული, განა დვანიდან კოპაძე ყორნისის სკოლაში გაჰგზავნიდა თავის შვილს სასწავლებლად?

* * *

მეორე დღეს დირბში გავსწიე.

სკოლა იქ დაარსებულა 1904 წელს. სოფელს ქირით უჭირავს ქვიტკირის ორი ოთახი და აძლევს—50 მან. ორივეში კლასებია მოთავსებული, პირველი და მეორე განყოფილება. პირველ განყოფილებაში ქ-ნი ურთმელიძე ასწავლის, მეორეში—ქ-ნი ედილაშვილისა. თითოს ჯამაგირად ეძლევათ 300 მან. ორივეს საეპარქიო სასწავლებელი გაუთავე-

*) იხ. „დროება" N 270.

საქმრო აქ მყოფ სტუმართა შორის?

— არა, მე არავინ არ ამომირჩევია,—მიუგო მან:—ჩემი გული ჯერ არ შეცვლილა, ჯერ არ გამხიარულებულა. იგი გამხიარულდება მხოლოდ, მაშინ, როდესაც ვნახავ უნაყოფო უდაბნოს მაგიერ აყვავებულ-ამწვანებულს სივრცეს ჩვენს გარშემო; როდესაც შესწყდება გმინვა-კვნესა დაშეულ ხალხისა... საქმროდ ამოვირჩევ მხოლოდ იმას ვინც მორწყავს და გაახარებს ამ მშიერს უდაბნოს, ვინც შესწყვეტავს მშიერთა გმინვა-კვნესას... ვინც შესძლებს ყველა ამას, ის დასტკბება ჩემის სიყვარულით და მხოლოდ მას გავუღებ ჩემს გულს!—დაათავა დედოფალმა და ღრმად ამოიოხრა.

კვლავ აფრინეს კაცები სხვა და სხვა მმართველ-ხელმწიფეებთან და შეატყობინეს დედოფლის განზრახვა. უკანასკნელნი მალე გაჩნდნენ სასახლეში და დაიწყო გაცხარებული მუშაობა: ზოგნი მიწას სთხრიდნენ ღრმად, რომ წყალი აღმოჩენილიყო, ზოგნი ეძებდნენ ახლო მდინარეს, საიდანაც კი შეიძლებოდა არხის გაყვანა, ზოგნი უფრო შორს წავიდნენ, დედოფლის საბრძანებელს გარედ, რომ მთელი მდინარე გადმოეგდოთ მშიერ უდაბნოში, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა; მდინარის გადმოგდება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ზოგგან მთა უშლიდა და ზოგგან კიდევ აღგილობრივი მმართველობა—ჩვენი მდინარე გახმება უწყლოდ და ხალხიც დაიმშევაო.

მალე ყველანი დარწმუნდნენ, რომ დედოფლის სურვილის სისრულეში მოყვანა ყოვლად შეუძლებელი იყო და დაღონებულნი დაბრუნდნენ თავთავიანთ სამფლობელოში.

უცხო ხელმწიფეთა წასვლის შემდეგ, ერთხელ დედოფალს წარუდგა ერთი სარტი, ახოვანი, ლამაზი. ეს იყო ცნობილი არიფი, განთქმული მთელს სარტების მხარეში თავის ვაჟკაცობით, ძველის სარტების შთამომავალი. ამან სწრაფად შეიპყრო დედოფლის გული.

— დედოფალო,—მიჰმართა არიფმა,—მე შემიძლიან ის, რაც ვერ შესძლეს აქ მყოფ ხელმწიფეთ. მე ავასრულებ შენს სურვილს, თუ შენ არ უღალატებ შენს სიტყვას და ჩემი გახდები!

— აასრულე,—მიუგო დედოფალმა,—მე ჩემს სიტყვას არასოდეს არ ვუღალატებ; შენი გავხდები საუკუნოდ და შენზე ძვირფასი არავინ მეყოლება!

— მაშ მომეცადე სამი-ოთხი დღე.

— მოვიცდი, მოუთმენლად მოგელოდები,—მღელვარებით მიუგო დედოფალმა და მზად იყო გადაჰხვეოდა არიფს.

— ნახვამდის, დედოფალო,—გამოეთხოვა არიფი და სასახლიდა გამოვიდა.

იმედით სავსე დედოფალი იჯდა დარბაზში და მოუთმენლად ელოდებოდა არიფს.

სწორედ მეხუთე დღეს, საღამოთი, მთვარის ამოსვლისთანავე გაჩნდა არიფი, მხიარული, პირმომცინარე.

— ჩემი ხარ, დედოფალო!—ხმამაღლა შესძახა არიფმა:—ასრულდა შენი სურვილი! წამოდი, სასახლის ბინიდან გაჩვენებ, თუ ჩემი არა გჯერა!

ორივენი ავიდნენ ბანზე.

მთვარის სინათლეზე დედოფალმა დაინახა უშველებელს სივრცეზე როგორ მოციმციმებდნენ წყლის არხები.

— შენი ვარ, არიფ!—აღტაცებით შესძახა დედოფალმა და გადაეხვია.

— მაგრამ, თუ მომატყუე,—განაგრძო დედოფალმა,—მაშინ, იცოდე, სიკვდილი აუცილებელი იქნება შენთვის!

— ჩემო ძვირფასო, ხომ ჰხედავ, როგორ დიმციმციმებს წყალი? მე შევიძელ ასრულება შენის სურვილისა და დღეის იქით შენ ჩემი ხარ!—შესძახა აღელვებულმა არიფმა და მშვენიერი დედოფალი მაგრად ჩაიკრა გულში...

. . . . . . . . . . . .

სძინავს მთელს სასახლეს. სძინავს არიფსაც, ბედნიერს, სიყვარულით დამტკბარს...

გათენდა დილა. მზემ კარგა მაღლა აიწია. დედოფალი წყნარად შეეხო ტუჩებით მძინარე არიფს და მივიდა ფანჯარასთან, რომ გადახედოს წყლის არხებს და დასტკბეს მათის მზერით. თავს ბედნიერად ჰგრძნობდა. ამიერიდან დამშეული ხალხი ბედნიერი იქნება. არხები უხვად მორწყამენ და გაანაყოფიერებენ უნაყოფო უდაბნოს... მთელი მისი საბრძანებელი სამოთხედ იქცევა...

ფანჯარასთან მისვლისათანავე დედოფალს საშინელი კივილი აღმოხდა გულიდან.

მშიერი უდაბნო ისევ ისე დაღვრემილი გამოიყურებოდა, როგორც იყო. არც არხი, არც ცვარი წყალი სჩანდა; სასახლის გარეშემო რამდენსამე ალაგას გრძელი ფარჩები იყო დაფენილ-გაჭიმული და მთვარის შუქზე ისე მოციმციმებდნენ, როგორც წყალი.

არიფმა მოატყუილა დედოფალი... ამ გზით აისრულა გულის-წადილი და აწი სძინავს ბედით კმაყოფილს, სიყვარულით დამტკბარს...

— შურს ვიძიებ!—გაუელვა გულში დედოფალს:—ჩემს მოტყუებას არავის შევარჩენ, და არც შენ იხეირებ, არიფ!—შესძახა მან და მძინარ არიფს გულში გაუყარა ბასრი ხანჯალი

მაგრამ როდესაც ნახა დედოფალმა თავის მსხვერპლის სისხლი, მისი უსიცოცხლო თვალები, იგრძნო თავისი სისასტიკე, იგრძნო, რომ უყვარს არიფი, რომ არ შეუძლიან უმისოდ სიცოცხლე, რომ მისთვისაც დადგა უკანასკნელი წამი...

— მშვიდობით, ჩემო არიფ!.. მალე მეც შენთან ვიქნები!—ერთიც შესძახა დედოფალმა და ერთს წამში სასახლის მინარეთზე გაჩნდა, რომლის ძირზედაც აუარებელი წვეტიანი ქვები ეყარა.

— მე მოგისპე სიცოცხლე და ამიტომ მეც მოვდივარ შენთან!—კვლავ შესძახა მან და გადაეშვა ძირს, წვეტიანს ქვებზე.

ამ გვარად აღსრულდა აღსასრული მშვენიერის დედოფლისა.

**ნიკო ასლამაზიშვილი.**

ზიათ. სოფ. ღირბის თითო კომლი სკოლას აძლევს—1 მან. (266 კომლია).

სწავლა ცუდ-იანადაა. საკლასო ოთახები კი ღარიბია. ორთავე განყოფილებაში 60 მოსწავლეა. ოთი წილი ქალია.

სწავლას მივუსწარი პირველ განყოფილებაში. არითმეტიკის გაკვეთილი იყო. რუსულადაც აანგარიშებინებდა მასწავლებელი. ოცამდის კარგად ანგარიშობდნენ, ასამდის ათეულებზე მიმატება და გამოკლება იცოდნენ. კარგად იყვნენ გაზეპირებულნი. ქართულ გაკვეთილზე „დედა ენის“ პირველ ნაწილიდან „ვაჟი ლოცულობს“ გარკვევით წაიკითხეს. ლექსებიც სთქვეს ზეპირად. მასწავლებელმა სთქვა: ზობამდის „დედა ენის“ პირველ ნაწილს სულ მოვრჩებითო. მეორე განყოფილებაში „დედა ენის“ მეორე ნაწილს გადიოდნენ. კუთხულობდნენ თავისუფლად, ლექსებსაც ამბობდნენ. საკლასო ოთახებში ციოდა.

* * *

სოფ. სალოლაშენში ამ ორი წლის წინად სამრევლო სკოლა არსებობდა. თავ. სარ. ამირაჯიბმა სკოლას საკუთარი შენობა აუგო, ადგილიც დაუთმო, მისი ქალი თამარ ასწავლიდა უსასყიდლოდ, საეპარქიო საბჭო კი სასწავლო ნივთებისთვის შემწეობას აძლევდა. ეხლა ეს სკოლა აღარ არსებობს. რა მიზეზით დაჰკეტა საეპარქიო საბჭომ? მას ხომ სკოლაზე არა ჰქონდა-რა?

* * *

ქვენატკოცაში 73 კომლი სცხოვრობს, შეძლებული გლეხები არიან. აქაც სამრევლო სკოლა არსებობს. საკუთარი ქვიტკირის შენობა უდგია. ორი ოთახია, ერთში მასწავლებლის ოჯახი სცხოვრობს, მეორეში კლასია მოთავსებული. საკლასო ოთახის ავეჯი ნაკლებია. ერთი საკლასო დაფის მეტი (ისიც უვარგისია) თითქმის სხვა არა არის-რა. მოსწავლეებისთვის მაგიდები ნაკლებადაა. მოსწავლე 43 იქნება. ვაჟი მხოლოდ ათია, დანარჩენნი ქალები იყვნენ.

რუსულ ენის გაკვეთილს შევასწარი. ხმაურობა იყო, ცელქობდნენ. მოსწავლენი ნაკლებად იყვნენ მომზადებულნი.

მასწავლებელს ვლ. უნაფქოშვილს ჯამაგირი ეძლევა 240 მან. სოფელი არას აძლევს სკოლას, გარდა შეშისა.

Legatus.

„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „ტკბილი დუდუდუკი“, მოთხრობა ვასილ ბარნოვისა; „თავლი“, ა. წულაძის; სურათები: სელმა ლაგერლეფი, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო, არდებილის ამკლები რახიმ-ხანი, მახსვანები, ინგლისელი ლორდები, რომელთა მეთაურობითაც ლორდთა პალატამ უარჰყო ბიუჯეტი.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა მდგომარეობა.** ნამესტნიკის კანცელარიის შეკითხვაზე ტფ. გუბერნატორმა აცნობა: როგორც მაზრის უფროსების მოხსენებიდანა სჩანს, ტფილისის გუბერნიაში არსად სოფლად გაჭირვება არ არის და ამიტომ გლეხობა გამოსაკვებ თანხით დახმარებას არა საჭიროებსო.

**გადმოსახლება.** ყუბანის ოლქიდან გუშინ წინ, 3 დეკემბერს, ჩამოვიდნენ „ხოდოკები“, 10 კაცი. მათ უნდათ ტფილისში, რუსების გადმომსახლებელ საქმის სამმართველოში შეჰკრიბონ ცნობები მამულების შესახებ. ყუბანელ „ხოდოკებს“ აზრადა აქვთ სთხოვონ მთავრობას, დაუთმონ მათ დასასახლებლად შირაქის მინდვრები.

**აუტანელი საიჯარო ფასი.** წინადაც აღგვინიშნავს, რომ ტფილისის სადგლეხო ბანკმა მრავალი მამული შეიძინა. ბევრი შემთხვევა ყოფილა, რომ გლეხები ცდილან საგლეხო ბანკის დახმარებით მამულის შეძენას, მაგრამ ვერ მოუხერხებია ბანკის წყალობით და მერე ამ მამულებს თითონ ბანკი იძენდა. სამწუხარო ის არის კიდევ, რომ საგლეხო ბანკი მეტად დიდ საიჯარო გადასახადს ახდევინებს გლეხობას. თითქმის ყველგან ერთი ორად უფრო დიდი საიჯარო გადასახადი დააწესა ბანკმა.

**სახალხო უნივერსიტეტის სკოლები.** ამ ჟამად მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია თურმე სახალხო უნივერსიტეტის წერა-კითხვის სკოლები. 3 დეკემბერს უნივერსიტეტის ქართულ სექციამ მთელი საღამოს ითათბირა იმის შესახებ, თუ სად გამონახოს ფული სკოლების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სექციამ დაადგინა, გამართონ წარმოადგენა. აირჩიეს წარმოდგენის გამმართველი კომისია.

**„საქართველოს მოამბე“.** ხვალ გამოვა „საქართველოს მოამბის“ მე-6 ნომერი შემდეგის შინაარსით: „ჩვენ და ცხოვრება“—ფ. გოგიჩაიშვილისა. „ჩემო სიცოცხლევ!“—ლექსი ი. გრიშაშვილისა „ღამის სიმღერა“,—ლექსი შ. ამირეჯიბისა. შინაური მიმოხილვა (ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეის გამო), ლექსი თ. რაზიკაშვილისა. „ცხოვრება და ხელოვნება“,—კიტა აბაშიძისა. „მთის არწივი შამილი“,—ა. ფრონელისა. „ყვავილი“,—ლექსი ტ. ტაბიძისა. „უცნაური წინააღმდეგობა“—ი. გოგებაშვილისა. მელვინეობისა და მევენახეობის კოოპერაციები—სვ. ვახვახიშვილსა.

**ტელეფონი მიწის ქვეშ.** თავის დროზე უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ მთავრობა შეუდგა ზრუნვას ტფილისში ტელეფონებისა და ტელეგრაფის მავთულების ჩამოხსნას ქუჩებში და მათ მიწაში გაყვანას. ამ საქმის განსახორციელებლად გადაუდვიათ 300,000 მან. მუშაობას შეუდგებიან 1910 წელს.

**ლექცია.** ხვალ, 6 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბ-ნი ა. ი. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას: „ლ. ანდრეევის უკანასკნელი პიესები „ანფისა“ და „ანათემა“.

**შუამდგომლობა.** როგორც ვიცით, მეურნეთა კრებამ ტფილისში მრავალი დადგენილება და რეზოლიუცია მიიღო. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო შუამდგომლობას აღძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ ყველა დადგენილება კრებისა განხორციელებულ იქნას. სკოლების შესახებ შუამდგომლობა აღიძვრის სამოსწავლო უწყების წინაშე, კრედიტისა—საფინანსო უწყების წინაშე და სხვა.

**კითხვები ბავშვთათვის.** დღეს, 5 დეკემბერს, საექიმო საზოგადოების სადგომში ქ-ნი ვარდანიანი (ნაშუადღევის 4—5 საათზე) ბავშვთათვის რუსულად წაიკითხავს: „ფუტკრს“—კვირას, 6 დეკემბერს, ბავშვთათვის პატარა ამბებს წაიკითხვენ ქართულად ქ-ნნი ქართველიშვილისა და ჭრელაშვილისა, ხოლო სომხურად ქ-ნი გარდიშიანი. საღამოთ ექიმები ვ. დ. ლამბაშიძე და ნ. დ. ხატისოვი, პირველი ქართულად, ხოლო მეორე რუსულად წაიკითხავენ ლექციებს კაცის ანატომიის და ფიზიოლოგიის შესახებ.

**კავკასიის ნამესტნიკის ახალი თანაშემწე.** „ბაკუ“-ს სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწედ ნიშნავენ კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს მიშლაევსკის. მიშლაევსკი მთავარ სამხედრო შტაბის უფროსად ნამყოფია, იგი ეხლახან დანიშნეს კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსად. ამავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო საქმეების ეხლანდელ თანაშემწედ გენერალ-ლეიტენანტ შატილოვს ნიშნავენ ერთ-ერთ სამხედრო ოლქის ჯარის უფროსად.

**სახელმწიფო გლეხების მოწყობა.** კავკ. ნამესტნიკს აღუძრავს საკითხი იმ წესის შეცვლის შესახებ, რომელიც მიღებულია სახელმწიფო გლეხების მოწყობის საქმეში ტფილისის, ქუთაისის, განჯის, ერევნის და ბაქოს გუბერნიებში. შესაფერი მოხსენება უკვე წარუდგენიათ სათანადო მთავრობისათვის.

**ცვლილება პოლიციაში.** საგუბერნიო ადმინისტრაციის განკარგულებით, ტფ. პოლიციის მოხელეთა შორის შემდეგი ცვლილებანი მოხდა: თანამდებობის გაუქმებისა გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქმნენ უბნის ზედამხედველები: ა. ყუფიანი, ივ. ანტვინი, ბესონოვი, რაჟდიონი, კუპრაშვილი, ლუკიანოვი, ბორისოვი, ან. ჩიქოვანი, შმიკინი, სკომორახი, გრიციუკი და ჩესნოკოვი. დანიშნულ იქმნენ: მე-11 პოლიციის ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ხრუშჩევი ამავე ნაწილის ბოქაულად, მე-4 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე ზინევიჩი—მე-6 ნაწილის ბოქაულის თანამ. ალმასრულებლად, მე-7 ნაწილის კანცელარიის საქმის მწარმოებელი ჩიხლაძე—მე 3 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, უბნის ზედამხედველი უთნელიშვილი—მე-8 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, უბნის ზედამხედველი ფლამინი—მე-3 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, სააქციზო სამართველოს მოხელე მოროზოვი—მე-2 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე ლუბინსკი—მე-10 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, უბნის ზედამხედველნი: მურადოვი, ლეონტი, ბარისენკო, დიდენკო, ვერშიგორა, დიდიმოვი, სვეტლონოვი, ვ სილეევი, ჯიჯიაშვილი, აროსინსკი, მანტიხი და კანანოვი უფროს უბნის ზედამხედველებად. გადაყვანილ იქმნენ: პოლიციის მე 8 ნაწილის ბოქაული მიქაბერიძე 1-ლ ნაწილის ბოქაულად, 1-ლ ნაწილის ბოქაული—მე-2 ნაწილის ბოქაულად, მე-5 ნაწილის ბოქაული დაშკევი—მე 4 ნაწილის ბოქაულად, მე-4 ნაწილის ბოქაული პოპოვი—მე-12 ნაწილის ბოქაულად, მე 6 ნაწილის ბოქაული სავჩუკი—მე 5 ნაწილის ბოქაულად, მეს.მე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე სურგუნენკო—1 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ, მე-8 ნაწილის ბოქ. თანაშ. გუკასოვი. მე-2 ნაწილის ბოქ. თანაშემწედ, მე-5 ნაწილის ბოქ. თანაშ. ვინოგრადოვი—მე 4 ნაწილის ბოქ. თანაშემწედ, მე-6 ნაწილის ბოქ. თანაშემწე მაჭავარიანი მე 5—ნაწ. ბოქ. თანაშემწედ და მე 2 ნაწილის ბოქ. თანაშემწე ზუპრიცკი—მე 12 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ.

პოლიცმეისტერის განკარგულებით, მე 5 ნაწილის ბოქაულის თანაშემწე დ. მაჭავარიანი წარდგენილ იქმნა, რომ 7 დღით დააპატიმრონ. მიზეზი ის არის, რომ მაჭავარიანს და ვალდებული ჰქონდა ქართულ თეატრში წარმოდგენის დროს თვალყურის დევნება ის-კი თეატრის ბუფეტში ნაცნობებთან მუსაიფობდა. პოლიცმეისტერის კანცელარიის მოხელეს, სტოლის უფროსს პაროვენოვს მისცეს სამი დღით დაპატიმრება პოლიცმეისტრის განკარგულების დაგვიანებისათვის.

2-3 დეკემბერს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: 2 დეკემბერს გოლ. პროსპექტზე დააპატიმრეს საგენერალ გუბერნატორად გადასახლებული და შემდეგ თავის ნებით დაბრუნებული ზუგდიდის მაზრის მცხოვრები ალექსანდრე სოლოღავა, რომელიც ტფილისში კაზიროლლის პასპორტით სცხოვრობდა. 3 დეკემბერს ტფ. ღამის თავშესაფარში (დიდუბეში) უეცრად გადაიცვალა 120 წლის მოხუცი ალექსი ბურნაძე. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიებას შეუდგნენ, სად დაბადებულა გარდაცვალებული და ვინ არის იმის პატრონი. ჩხრეკის დროს პოლიციის მე-5 ნაწილში დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი. „ვეტცელის“ სასტუმროში ფოთის მეორე გ-ლდის ვაჭარმა ილარიონ საბახტარაშვილმა რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი არ იციან. 8 აგვისტოს მეტეხის ციხიდან გაქცეული იოსებ იანისი 2 დეკემბერს დააპატიმრეს ალავერდის სარხანაში, სადაც იგი ნიკოლოზ ყარანაშვილის სახელით მუშაობდა. შუაბაზარში ვაჭრის პოლოსოვის მაღაზიის კედელი გამოუნგრევიათ ქურდებს და 250 მანეთის საქონელი წაუღიათ. ქურდები შეპარულან ბაგატუროვის სახლში და გამოუნგრევიათ მაღაზიის კედელი. რკინის გზის კონდუქტორი ანდრია პოლეშჩუკი ცოლითა და ნაცნობით მინავლებულა აქალის ქუჩაზე.

# მარჯორი უარდროპი

სამწუხარო ამბავი მოვიდა რუმინიის დედა-ქალაქ ბუხარესტიდან: ამ ქალაქში გარდაიცვალა ჩვენში კარგად ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალი მარჯორი უარდროპი. განსვენებული თოთხმეტი წლის წინად ესტუმრა საქართველოს თავის ძმასთან ოლივერ უარდროპთან ერთად და მას შემდეგ დიდის სიყვარულით სწავლობდა ქართველთა ცხოვრებასა და ლიტერატურას და აცნობდა ინგლისელებს.

მარჯორი უარდროპმა ისე კარგად შეითვისა ქართული ენა, რომ სულ თავისუფლად კითხულობდა და სწერდა. თავის აქაურ მეგობრებთან და ნაცნობებთან მუდამ ქართულად ჰქონდა მიწერ-მოწერა. კეთილშობილ გულის პატრონი იყო განსვენებული და გულწრფელად უყვარდა საქართველო. „საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა“, ამბობდა ხოლმე განსვენებული.

ინგლისელებმა თუ იციან რამე საქართველოზე და იცნობენ ქართველებს, მხოლოდ და მარტო განსვენებულის წყალობით. განსვენებული, როგორცა ვთქვით, გულმოდგინედ სწავლობდა ქართულ ლიტერატურას და სთარგმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს. გადასთარგმნა და გამოსცა ინგლისურად, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“. თუ არა ვცდებით, მანვე გადასთარგმნა საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუვე“, აცნობდა ინგლისელებს ქართველების ცხოვრებას, აწმყოს და წარსულს, ზნე-ჩვეულებას და ხასიათს, ჩვენებურ ბუნებას.

აქაურ ნაცნობთაგან არავინ არ მოელოდა ასეთ სამწუხარო ამბავს. განსვენებული ჯერ ახალგაზრდა ქალი იყო და გულმოდგინედ მუშაობდა ახალ თხზულებების გამოსაცემად ქართველების შესახებ. ერთი კვირაც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ოსავალის“ რედაქტორმა ბ-მა ვ. რცხილაძემ. მარჯორი უარდროპისაგან წერილი მიიღო. აი რასა სწერდა განსვენებული (წერილი ქართულად არის დაწერილი):

დიდად პატივცემულო ბატონო რცხილაძე დიდი სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი და ნაჩუქარი ჟურნალ-წიგნები; გულით მადლობას მოგახსენებთ. თქვენი თხზულებანი საყურადღებო შემატება იქნება ჩვენი ქართულ წიგნთა-კრებულისა. ჩვენი სურვილია ყველა ქართულ წიგნს შევკრება, რაც შეიძლება. შემდეგში მივართმევთ ერთ ინგლისელ მუზეუმს, ასე რომ ვისაც სურს ქართული ენის შესწავლა, ადვილად შეიძენს საჭირო მასალებს.

ერთი საათის ინად რომ მივიღე თქვენი წერილი, გამოვგზავნე მეორეთ იმ წიგნების სია, რომელიც მინდოდა და იმდია მალე მივიღო უკვე მომსვლია რამდენიმე სიმღერები.

ბოდიშს ვიხდი, რომ უქეიფობის გამო ამდენ ხანს თქვენი კეთილი წერილი უპასუხოთ დარჩა. რასაც სწერთ საქართველოზე, ფრიად მაწუხებს. თქვენი მშვენიერი სამშობლო სულით და გულით მიყვარს და ვვედრებ მისს ბედნიერებას. კიდევ ერთხელ გმადლობთ.

თქვენი ღრმად პატივისმცემული

მარჯორი უარდროპი.

განსვენებული ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს: ყოველ წლის დასაწყისში წერა-კითხვის საზოგადოებას ამისთვის მოსდიოდა მისგან ექვსი-შვიდი თუმანი.

განსვენებულის ცხედარს დაკრძალავენ ინგლისში, ბელმონტში, სადაც მისი მამაა დასაფლავებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო ადამიანო!

P. S. ადრესი იმათთვის, ვინც წერილს ან დეპეშას გამოგზავნის მოისურვებს:

Oliver Wardrop, Belmont jevenoåks Angleterre.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 5 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ბ. გოთუას ახალი პიესა „პარტიის კაცი?!“ შინაარსი აღებულია განმათავისუფლებელ მოძრაობის დროიდან. პიესა ოთხმოქმედებიანია. როგორც მკითხველებმაც იციან, ეს პიესა ამას წინად უნდა ეთამაშნა ქართ. დრამატიულ დასს, მაგრამ წარმოდგენის ნება არ მისცეს და დღეს პირველად დასდგამენ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს თითქმის მთელი დასი.

---

**ვერის სახალხო აუდიტორია.** დღეს, 5 დეკემბერს ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის სამ მოქ. კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. წარმოდგენის წინ ბ-ნი გრ. ყიფშიძე წაიკითხავს ა. ცაგარლის ბიოგრაფიას. წარმოდგენა დაიწყება საღამოს რვა საათზე. გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ადგილები ქუჩებში არ იქნება გაკრული.

# სასამართლო

## მოკვლა და გაცარცვა.

1908 წელს 22 დეკემბერს თიანეთის მაზრის სოფ. ხალაცანის ახლო, გზაზე უნახავთ გვამი მოკლულის კაცისა. კაცი სამი ტყვიით ყოფილა დაჭრილი. გამოძიების შემდეგ იგი სოფ. მგელაციხის მცხოვრები ხუმარა პატრიშვილი გამოდგარა, რომელიც ნათესავების სიტყვით, 21 დეკემბერს საღამოს, წასულა სოფელ ყვარელწყლიდან სოფ. დუისოფელში ფქვილის სასყიდლად. თანა ჰქონია ვერცხლის ქამარი და 60 მანეთი ფული. მოკლულს ფული და ქამარი აღარ აღმოსჩენია. პოლიციას გაუგია, რომ პატრიშვილი მოუკლავთ სოფ. დუისოფლის მცხოვრებთ ვ. მარგოშვილს და საგო მარგოშვილს. დაუტუსაღებიათ ესენი. გამოტეხილან. მაგრამ ბრალდებულთ წინასწარ გამოძიების დროს შეუცვლიათ თავიანთი ჩვენება პოლიციასთან. ს. მარგოშვილს უჩვენებია, მარტო მე მოვკალი და სხვა ამხანაგი არა მყოლიაო და ამხანაგის დასახელება ცემით აუხსნია.

ეს საქმე ტფ. ოლქის სასამართლოს სექტემბერს გაურჩევია თიონეთში. სასამართლოში ს. მარგოშვილს ... ეს საქმე ... ... ს. მარგოშვილისთვის (20 წლისაა) ... წლით კატორღა, ხოლო ვ. მარგოშვილისთვის (17 წლისაა) სამი წლით დაპატიმრება. ბრალდებულთ საქმე პალატაში გადაუტანიათ.

პალატამ 4 დეკემბერს განიხილა ეს საქმე და განაჩენს ხვალ დაგვებდავთ.


# განცხადებანი

კირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეგტიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ბ. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. ზეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
**ს ა ღ ა მ ო თ ი თ:**
**ო. ვ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი
(ფ.—1—231)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—17)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## სენსაციონური ამბავი




200 მანეთად ღირებულ ოქროს საათის მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ საათი „სეცესია“, რომელიც ფასონით და მსგავსად არ ჩამოუვარდება ოქროსას. საათი მალიან თხელია, ვერცხლის მანათიანის სითხისა, ამერიკულ ახალ ოქროსი, რომელიც თავის დღეში არა ჰკარგავს თავის პირვანდელ ფერს, ორგინალურ დაჭდეულ ყ ვ ა ვ ი ლ თ ა სურათებით (იხ. სურათი) საათი „ს ე ც ე ს ი ა“ გამოირჩევა სწორი სიარულით და მხატვრულად გამწყობილებულობით; ღერძები ქვებზეა, იმართება 40 საათში ერთხელ. ფასი 3 მ. 75 კ., 2—7 მ.; ამასთანავე ქალისა 4 მ. 75 კ., უ ფ ა ს ო დ ეძლევა ახალი ოქროს მშვენიერი ძეწკვი ბრელოკით და საათის შესანახად ზამშის ბუდე. საათი ეგზავნება გასინჯული, 6 წლის თავდებობით, ფას დადებით დ უბედოდ. 2 ცალის გადაგზავნა 40 კ. (ციმბირში 75 კ.). ადრესი: Т-ВО „АККУРАТНОСТЬ“, ВАРШАВА, ОТДѢЛ. 94. ეს ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრა დააკრათ კონვერტზე. (Метцль и К-о № 76629) (5—6.—2)

**მიიღება ხელის მოწერა 1910 წელს.**

რუსეთში ერთად-ერთ ორ-კვირეულ იშვიათ სილამაზის სამხატვრო-სალიტერატურო და სამეცნიერო საუცხოვო სურათებიან ჟურნალ

## „პრობუჟდენიე“-ზე

ჟურნალი ხუთი წელიწადია რაც გამოდის.

რუსეთის ინტელიგენცია ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა ჟურნალ «პ რ ო ბ უ ჟ დ ე ნ ი ე»-ს. თანამშრომლობენ რუსეთის საუკეთესო მწერლები და მეცნიერები, რის გამო ჟურნალი მეტად გავრცელებული და პოპულიარულია. 1910 წელს უფრო გალამაზებული იქნება „პრობუჟდენიე“. ასეთი პერიოდული გამოცემა არ ყოფილა ჯერ რუსეთში. ძვირფასი განძია სამხატვრო ბიბლიოთეკისთვის. განახლებულ ჟურნალში დიდი ყურადღება იქნება მიქცეული სამხატვრო განყოფილების გაუმჯობესებაზე და სურათების სიმშვენიერეზე ფერადიანი სურათები დამზადდება ბერლინსა, დრეზდენსა, ლეიპციგსა მიუნხენსა და პეტერბურგში.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ რუსეთის ცნობილი თანამედროვე მწერლები: ლეონიდ ანდრეევი, არციბაშევი მ. პ., ანდრუსონი ლ. ი., ბარანცევიჩი კ. ს., ბუნინი ი. ა., ბუდიშჩევი ა ნ., გუსევ-ორენბურგელი ს. ი., გნედიჩი პ. პ., გოროდეცკი სერგი. იზმაილოვი ა. ა., იზმაილოვი ვლ., კამენსკი ა. პ., კუპრინი ა. ნ., ლენსკი ვ. ი., ლიხაჩოვი ვ. ს., მეიქელი ვ. ვ, ნაიდენოვი ს. ა., ნემიროვიჩ-დანჩენკო ვას. ივ., პოტაპენკო ი. ნ., რიმკევი ვ. ა., სერაფიმოვიჩი ა. ს., სკიტალეცი, ტიხონოვი ვლ. ა., ტიმკოვსკი ნ.. ტოლსტოი ა. ნ., უმანოვი-კაპლუნოვსკი ვლ., ჩირიკოვი ე. ნ., ჩეხოვი ა. პ., მჩეპკინა-კუპერნიკი ტ. ლ. და მრავ. სხვანი.

**1910 წელს ჟურნალი შესამჩნევად გადიდებულ პროგრამით გამოვა:**

რომანები, მოთხრობები. ისტორიული ბელეტრისტიკა, ლექსები, მიმოხილვანი ისტორიიდან და ლიტერატურის ისტორიიდან რუსეთისა და მსოფლიო. ფელეტონები. ლიტერატურის ახალი ნაწარმოებნ—რუსეთისა და უცხოეთისა. სატირიული და იუმორისტული მოთხრობანი, კრიტიკა, ხელოვნება, თეატრი და მუსიკა. მოგზაურობანი, ეთნოგრაფიული მიმოხილვანი. მოგონებანი და წერილები. მეცნიერულ-პოლიტიკური წერილები თანამედროვე საკითხზე. მიმდინარე ამბები. ბუნების-მეტყველება. მეცნიერების განვითარება. დრამატიული ნაწარმოებნი ნოტები ბიბლიოგრაფია.

1910 წლის ხელის მომწერნი მიიღებენ (ყოველ თვის 1-სა და 15-ში):

24 ნომერს ჟურნალისას მშვენივრად დასურათებულს. 25 მრავალ-ფერიანს სურათს რუსეთის და საზღვარ-გარეთის ცნობილ მხატვრებისას.

12 მშვენიერ მხატვრულ ალბომს სურათებისას (70 სურათზე მეტი ცალკე ფურცლებზე):

1. რაფიელ სანტი: რჩეული სურათები ყველა დროისა და ხალხების საუკეთესო სურათებისა.
2. რემბრანდტი.
3. მურილიო. რჩეული სურათები ცნობილ ესპანელ მხატვრისა.
4. ლეონარდო და ვინჩი. რჩეული ნაწარმოებნი იტალიის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლისა.
5. მიქელ ანჯელო. გამოჩენილი სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
6. რუბენსი. რჩეული სურათები გამოჩენილ ფლამანდელ მხატვრისა.
7. კორეჯიო. რჩეული სურათები გამოჩენილ იტალიელ მხატვრისა.
8. მეისონიე. საუკეთესო სურათები დიდებულ ფრანგ მხატვრისა.
9. მენცელი ა. გამოჩენილი სურათები გერმანიის ისტორიულ მხატვრისა.
10 ტიციანი. რჩეული სურათები დიდებულ იტალიელ მხატვრისა.
11. ალმა თადემა. ცნობილ ჰოლანდიელ მხატვრის სურათების ალბომი.
მიქაელ მუნკაჩი. უნგრელ მხატვრის გამოჩენილი სურათები.

**ხელის მოწერის ფასი:** ერთი წლით გაუგზავნელათ 6 მან., გაგზავნით ყველა ქალაქში 7 მანეთი. ნახევარი წლით 4 მან. სამი თვით 2 მან. საზღვარ-გარედ 10 მან. სამ თვეზე ქვევით ხელის მოწერა არ მიიღება.

ადრესი: Редакція журнала „ПРОБУЖДЕНІЕ“: С.-Пет—ргъ, Б. Подьяч. д. 39.

(3—1) რედაქტორ-გამომცემელი ნ. ვ. კორეცკი.


...ამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3...

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე